შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (10.138)

14—21 სექტემბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რთველი - 2024 აქტიურად მიმდინარეობს

მთავრობის ახალი შეთავაზება მევენახეებს

კახეთში ყურძნის მოსავალი 6500-მდე მევენახე ფერმერმა დააბინავა.

12 სექტემბრის მდგომარეობით, გადამუშავებულია 78 ათას ტონამდე ყურძენი, აქედან, 35 ათას ტონამდე რქაწითელი, 34 ათას ტონამდე საფერავი, დანარჩენი სხვადასხვა ჯიშის ყურძენია.

რთველი სხვადასხვა აქტიურობით კახეთის ყველა მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

ყოველდღიურად მოსავლის გადამუშავების პროცესში 80-მდე კომპანია და მარანია ჩართული.

მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კომპანია საფერავის ჯიშის ყურძენს ათამდე ლოკაციაზე ლარ-ნახევრად ჩაიბარებს. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძე: „საქართველო ღვინის სამშობლოა, ხოლო ქართული ღვინო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი გახლავთ. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

სწორედ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევის შედეგია, რომ 2012 წლის შემდეგ, საქართველოში 70%-ით გაიზარდა ვენახების ფართობი, 5-ჯერ გაიზარდა ყურძნის გადამუშავების მაჩვენებელი და 4-ჯერ გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი.

შარშან, საქართველომ ღვინის ექსპორტიდან 259 მილიონი დოლარის რეკორდული შემოსავალი მიიღო, როდესაც 2012 წელს შემოსავალი მხოლოდ 71.5 მილიონ დოლარს შეადგენდა. 35 მილიონი ლარიდან, 300 მილიონ ლარამდე გაიზარდა მევენახეების შემოსავალი. ყურძნის წლევანდელი საპროგნოზო მოსავალი რეკორდულია და 300 000 ტონას შეადგენს.

საქართველოს მთავრობა წელსაც ახორციელებს დარგის სუბსიდირებას, რათა 20 000-ზე მეტმა მევენახემ მოსავლის დროულად რეალიზება შეძლოს.

დღევანდელი მდგომარეობით, უკვე გადამუშავებულია 80 000 ტონა ყურძენი. წელს, რეკორდულია საფერავის ჯიშის ყურძნის მოსავალიც. ინტენსიურად მიმდინარეობს ყურძნის ჩაბარება და უკვე გადამუშავებულია 35 000 ტონა ყურძენი, თუმცა, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, გახდა საჭირო, მოსავალი მაქსიმალურად სწრაფად დაბინავდეს, რათა ყურძენი არ გაფუჭდეს და მისი გადამუშავება დროულად მოხდეს. აქედან გამომდინარე, ყოველდღიურად მზარდია ყურძნის ჩაბარებაზე მოთხოვნა მევენახეების მხრიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მივიღეთ გადაწყვეტილება, გამოვყოთ დამატებითი რესურსი და სახელმწიფო კომპანია, სახელმწიფო ჯიშის ყურძენს 10-მდე ლოკაციაზე ლარ-ნახევრად ჩაიბარებს. მევენახეებს, რომელსაც დღემდე ლარ-ნახევარზე ნაკლებ ფასად აქვთ ჩაბარებული საფერავის ჯიშის ყურძენი, საქართველოს მთავრობა დაუკომპენსირებს სხვაობას ლარ ნახევარსა და მიღებულ საფასურს შორის“.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ მევენახეების მხრიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ კახეთში, გარკვეულმა ქარხნებმა შეაჩერეს საფერავის ჯიშის ყურძნის მიღება. აღნიშნულთან დაკავშირებით „ბიზნესპრესნიუსი“ წერდა, რომ „ქარხნებში ყურძნის მიღების შეყოვნების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სწორედ პროდუქტის სიჭარბე იყო“.

მანამდე სოფელ ფიროსმანში მცხოვრებმა მევენახეებმა აქცია გამართეს და ყურძნის ფასი გააპროტესტეს. ადგილობრივების თქმით, ღვინის ქარხნების მიერ შეთავაზებული ფასის გამო მიღებული მოსავალი გაწეულ ხარჯს ვერ ანაზღაურებს.

13 სექტემბერს კახეთში იმყოფებოდა გარემოს დაცვის მინისტრი ოთარ შამუგია, რომელიც მევენახეებს შეხვდა.

მინისტრმა სახელმწიფოს მხრიდან მევენახე ფერმერების მხარდაჭერასა და ბაზრების დივერსიფიცირების საკითხის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელშესახები შედეგები სახეზეა.

„იმ ბაზრებზე, სადაც ვხედავთ, რომ ქართულ ღვინოს დიდი პოტენციალი აქვს, მეტ საერთაშორისო გამოფენაში ვიღებთ მონაწილეობას. ბალტიისპირეთისა და პოლონეთის ბაზარი მზარდია, ქართულ ღვინოს ცნობადობა აქვს და პროცესები კარგად მიდის. ასევე აღსანიშნავია, რომ გერმანიაში გვაქვს ექსპორტის 40%-იანი ზრდა - წელს უკვე 1 მილიონ ბოთლზე მეტია გატანილი. მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს ამერიკაშიც - ზრდის მაჩვენებელი 35%-მდეა“, - განაცხადა ოთარ შამუგიამ.

„მადლობა მინდა გადავუხადო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ოთარ შამუგიას აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ლაშა ხუციშვილს ამ გადაწყვეტილების მხარდაჭერისთვის. საქართველოს მთავრობა მომავალშიც განაგრძობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და კონკრეტულად, მევენახეობა-მეღვინეობის მხარდაჭერას, რადგან ძლიერი სოფლის მეურნეობა ძლიერ გლეხს, ძლიერ ფერმერს და ძლიერ სოფელს ნიშნავს“-აღნიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბრიფინგზე.

მასალა მოამზადა

ინგა შიოლაშვილმა

პირველკლასელთა რაოდენობა

წელს დედოფლისწყაროში 208 პირველკლასელია

1. ქ. დედოფლისწყაროს №1 — 35 (17ᵃ+18ᵇ)
2. ხორნაბუჯი — 25
3. ქ. დედოფლისწყაროს №2 — 22
4. ზემო მაჩხაანი — 22
5. საპატრიარქო — 18
6. სამრეკლო — 14
7. გამარჯვება — 12
8. ფიროსმანი — 10
9. სამთაწყარო — 10
10. ქვემო ქედი — 10
11. ზ/ქედის №1 — 8
12. ზ/ქედის №2 — 8
13. არხილოსკალო — 6
14. საბათლო — 4
15. არბოშიკი — 3
16. ოზაანი — 1

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი №50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 26 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი/უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ღირებულება კი 150 ლარით განისაზღვრება.

„არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დავაფუძნებთ საგრანტო პროგრამას“

საქართველოს მთავრობა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საგრანტო ფონდს ქმნის. შესაბამისი გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

მისი თქმით, ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება, დაფინანსებას კი ის ორგანიზაციები მიიღებენ, რომლებიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს რეესტრში დარეგისტრირდნენ.

ამასთან, როგორც კობახიძემ აღნიშნა, „არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კეთილ საქმეს აკეთებენ და ქართველი ხალხის ინტერესებს ემსახურებიან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი ორად მეტ დაფინანსებას მიიღებენ, ვიდრე უცხოური დონორებისგან იღებდნენ.“

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განაცხადით 450-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ანუ უცხოური დაფინანსებით მოქმედი ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა მიმართა. საზოგადოების წინაშე გამოვლენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობისთვის თითოეულ ამ ორგანიზაციას მადლობა მინდა გადავუხადო. ამ ფაქტით დადასტურდა, რომ უცხოური დაფინანსების მიღება ავტომატურად არ ნიშნავს უცხოური ძალის უარყოფითი ინტერესების გატარებას. ვისაც დასამალი არაფერი აქვს, მას არც გამჭვირვალობის ეშინია.

ლოგიკურია, რომ რეგისტრაციას არ ერიდებიან უცხოური დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში არც პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნას ცდილობენ, არც რევოლუციური გეგმების რეალიზებაში მონაწილეობენ, არც ქვეყნის რელიგიური იდენტობის შერყევას ცდილობენ, არც ლგბტ-პროპაგანდით არიან დაკავებული და არც სტრატეგიული ეკონომიკური ობიექტების მშენებლობისთვის ქმნიან ხელოვნურ დაბრკოლებებს. არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრაციის პროცესი აქტიური ზეწოლისა და შანტაჟის ფონზე წარიმართებოდა. არასამთავრობო ორგანიზაციებს ემუქრებიან და აშანტაჟებენ როგორც „ენჯეოები“, ისე ცალკეული უცხოური დონორი ორგანიზაციები. მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციას კონკრეტული უცხოელი დონორები დაემუქრნენ დაფინანსების შეწყვეტით იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციას გაივლიდნენ. ამ ფონზე და ზოგადად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დავაფუძნოთ საგრანტო პროგრამა, რომელიც სრულად ქართველი გადასახადის გადამხდელის ფულით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

საგრანტო ფონდის გამართული მუშაობისთვის აუცილებელი ინსტიტუციური და ფინანსური საფუძვლები უახლოესი 2 თვის განმავლობაში მომზადდება, ხოლო პირველი საგრანტო პროექტები 2025 წლის იანვრიდან დაფინანსდება. საგრანტო პროგრამის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ახლო მომავალში გაგიზიარებთ. საგრანტო პროექტები დაფინანსდება ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. ამ ამოცანებს შორისაა - დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, კორუფციასთან ბრძოლა, ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაპირისპირება, შშმ პირებზე ზრუნვა, გარემოს დაცვა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვა და ა.შ.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კეთილ საქმეს აკეთებენ და ქართველი ხალხის ინტერესებს ემსახურებიან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი ორად მეტ დაფინანსებას მიიღებენ, ვიდრე დღემდე უცხოელი დონორებისგან იღებდნენ. საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაცემული და დახარჯული თითოეული თეთრი იქნება გამჭვირვალე საზოგადოებისთვის. საზოგადოებას მუდმივ რეჟიმში ექნება იმის გადამოწმების საშუალება, თუ რამდენად შეესატყვისება შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. წინასწარ მოვუწოდებთ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც სურს იქცეს ქართველი ხალხის გავლენის აგენტად და გაატაროს საქართველოს ეროვნული ინტერესები, აქტიურად ჩაერთოს საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

OSCE/ODIHR საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ხსნის

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ოფიციალურად შეუდგა მუშაობას.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დღეს ოფიციალურად შეუდგა მუშაობას, რათა მონიტორინგი გაუწიოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. OSCE/ODIHR - ის ინფორმაციით, მისია არჩევნებზე დასაკვირვებლად ოფიციალურად მოწვეული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობს ოუენ მერფი. მისიის შემადგენლობაშია 12 საერთაშორისო ექსპერტი და 30 გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომლებიც 19 სექტემბრიდან გადანაწილდებიან მთელი საქართველოს მასშტაბით. ამასთანავე, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მათ დაემატებათ ODIHR-ის მიერ მოწვეული 350 მოკლევადიანი დამკვირვებელი.

„მისია შეაფასებს არჩევნების შესაბამისობას ეუთოს მიმართ ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნებისათვის დადგენილ სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, აგრეთვე მის შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან.

დამკვირვებლები არჩევნების ყველა ასპექტს დააკვირდებიან არჩევნების დღემდე და შემდეგ. კერძოდ, ისინი მონიტორინგს გაუწევენ პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას, მათ შორის ონლაინ სივრცეში, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობას, საარჩევნო დავების გადაწყვეტასა და მედია გარემოს. ისინი ასევე შეაფასებენ ODIHR-ის მიერ წარსულში გაწეული არჩევნებთან დაკავშირებული რეკომენდაციების განხორციელებას.

შეხვედრები ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, მედიასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკვირვების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

არჩევნების დღეს ODIHR-ის მისია ეუთოს საპარლამენტო ასამბლეასთან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასთან, ევროპარლამენტისა და NATO-ს საპარლამენტო ასამბლეასთან ერთად მონიტორინგს გაუწევს საარჩევნო უბნების გახსნას, ხმის მიცემის პროცედურას, ბიულეტენების დათვლასა და შედეგების შეჯამებას.

არჩევნების მომდევნო დღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია პრესკონფერენციაზე წარადგენს დაკვირვების წინასწარ შედეგებს. საარჩევნო პროცესის შეფასების საბოლოო ანგარიში, რეკომენდაციების ჩათვლით, საარჩევნო პროცესის დასრულებიდან რამდენიმე თვეში იქნება გამოქვეყნებული“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნებში მონაწილე პარტიებს ქცევის კოდექსის გაფორმებას სთავაზობს

საარჩევნო ადმინისტრაცია 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პარტიებს ქცევის კოდექსის გაფორმებას სთავაზობს. ქცევის კოდექსზე ხელმოწერა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს დღეიდან 11 სექტემბრის ჩათვლით შეუძლიათ.

საარჩევნო ადმინისტრაციას მნიშვნელოვნად მიაჩნია 2024 წლის არჩევნებისთვის არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების ირგვლივ გააერთიანებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს. ამ პროცესში საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც ნეიტრალური ორგანო, მიუკერძოებელი ფასილიტატორის როლს ასრულებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს საარჩევნო კულტურის გრძელვადიან განვითარებას.

ქცევის კოდექსი, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით პოლიტიკური პარტიებისთვის შეიმუშავა 2024 წელს ევროპის პარლამენტის არჩევნებზე გამოყენებული დოკუმენტის ძირითად პრინციპებს ეფუძნება. ხელმოწერის პროცესის დაწყებამდე საარჩევნო ადმინისტრაციამ პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის პროექტი გაცნობისა და მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით პარტიებს გაუგზავნა და საბოლოო ვერსია სწორედ მათი მოსაზრებების გათვალისწინებით შემუშავდა.

დოკუმენტზე ხელის მოწერა შესაძლებელია მიმდინარე წლის 9-11 სექტემბრის ჩათვლით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. დოკუმენტს ხელი 2024 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის რეგისტრირებული პარტიების ხელმძღვანელმა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა მოაწეროს.

ხელმოწერილი დოკუმენტი საჯაროდ 12 სექტემბერს გამოქვეყნდა.

ზედამხედველობის დეპარტამენტმა ფოთლების დაწვისთვის 89 ჯარიმა გამოწერა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წელს, მუნიციპალური არასახიფათო ნარჩენის ღია წესით დაწვის 149 ფაქტი გამოვლინდა.

საქმე ის არის, რომ ნარჩენის ღია წესით დაწვა კანონით აკრძალულია და დაჯარიმებას ითვალისწინებს. კერძოდ, ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით დაწვაზე ჯარიმა 500 ლარია. ზედამხედველობის დეპარტამენტის მონაცემებით, ამ მიმართულებით წელს 89 დარღვევა გამოვლინდა. ხოლო საბურავის, რეზინისა და სხვა ელასტომერული მასალის ღია წესით დაწვის შემთხვევაში გათვალისწინებული 1 500 ლარიანი ჯარიმა 60 ფაქტზე გამოიწერა.

ყველაზე მეტი 500-ლარიანი ჯარიმა აჭარასა (29) და კახეთში (17) გამოიწერა. 1500-ლარიანი კი ქვემო ქართლსა (16) და თბილისში (16).

რაც შეეხება გასული წლის სტატისტიკას, 2023 წელს ჯამურად, ფოთლების, ბაღის/პარკის ნარჩენების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით დაწვის 223 ფაქტი გამოვლინდა. საბურავის, რეზინისა და სხვა ელასტომერული მასალის დაწვის კი - 120 ფაქტი.

სურსათის უვნებლობის ინსპექტირება დედოფლისწყაროში

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მიმდინარე წლის მეორე კვარტლის ინსპექტირებისა და მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა. როგორც მონაცემებიდან ირკვევა, სხვადასხვა დროს სურსათის უვნებლობის სპეციალისტებმა დედოფლისწყაროს სხვადასხვა ობიექტში გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირება განახორციელეს.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, შემოწმებისას კრიტიკული შეუსაბამობა დაფიქსირდა ქალაქ დედოფლისწყაროში, ლეონიძის №15-ში რეგისტრირებულ, ფაქტიურად კი ჰერეთის №30-ში მოქმედ ინდივიდუალურ საწარმოში. ინსპექტორების განმარტებით, საწარმოში ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე იყო სარეალიზაციოდ გატანილი. იგივე ვითარება აპრილის თვეში დაფიქსირდა სოფელ ზემო მაჩხაანში ხორცის სარეალიზაციო პუნქტშიც.

ამას გარდა, დედოფლისწყაროში, პატატიშვილის №5-ში რეგისტრირებულ, ფაქტიურად კი რუსთაველის №23-ში მდებარე ინდივიდუალურ საწარმოში აღმოაჩინეს შეუსაბამობები. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ობიექტზე ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე იყო სარეალიზაციოდ გატანილი. განმეორებით გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ მეწარმეს არ ჰქონდა შესრულებული საწარმოო პროცესის შეჩერების ვალდებულება. ამიტომ შედგა კიდევ ერთი ოქმი და რუსთაველის 23-ში მდებარე ოპერატორს შეუჩერდა საქმიანობა კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე. (შენიშვნა: ვინაიდან მონაცემები მეორე კვარტლის, ანუ აპრილი, მაისი, ივნისის მონაცემებს ასახავს, შესაძლოა, ობიექტმა ხარვეზები უკვე აღმოფხვრა და მუშაობა განაახლა)

სურსათის სააგენტო დედოფლისწყაროს სასმელი წყლის სათავეების მდგომარეობითაც დაინტერესდა და რამდენიმე წერტილში მოკვლევა განახორციელა. 28 ივნისს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა გეგმიური წესით შეამოწმეს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ რაიონული ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული დედოფლისწყაროს ე.წ. „მაზოვკის“ წყლის სათავე ნაგებობა და ასევე მდინარე ივრის სათავე ნაგებობა. ორივე სათავე ნაგებობაზე დაფიქსირებულია კრიტიკული შეუსაბამობები და გაიცა რეკომენდაციები მათი ოპერატიულად, მოკლე დროში აღმოფხვრის მიზნით. **შირაქი**

დასაქმების ახალი შესაძლებლობა კახეთში მცხოვრებ მოქალაქეებს!

დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ორგანიზებით, 18 სექტემბერს, 13:30 საათიდან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში მასობრივი გასაუბრება ჩატარდება.

მოდი, სასტუმრო „ეკო ვილა ჯიოში“, შეხვდი კომპანიის წარმომადგენლებს და გაეცანი აქტიურ ვაკანსიებს.

კომპანია გთავაზობთ დასაქმებას, შემდეგი მიმართულებით:

რეგისტრატორი, მიმტანი, დიასახლისი, მზარეული, მებაღე.

თარიღი – 18 სექტემბერი;
დრო – 13:30 საათი;

მისამართი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი მირზაანი. სასტუმრო „ეკო ვილა ჯიო“ (ფიროსმანის მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია.

ვაკანსიების გაცნობა ასევე შესაძლებელია სააგენტოს სერვის-ცენტრში, თელავის მუნიციპალიტეტში.

ახალი სასწავლო წელი, ახალი იმედებით

კიდევ ერთი სასწავლო წელი იწყება. 208 მოსწავლისთვის 16 სექტემბერს პირველად დაირეკება სასკოლო ზარი და პირველად მიუჯდებიან მერხებს. მუნიციპალიტეტის 6 სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოებია გაჩაღებული, რის გამოც სასწავლო პროცესი ალტერნატიულ შენობებში მიმდინარეობდა. რა გამოწვევები აქვთ დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებს და რა სიახლეებით ხვდება მუნიციპალიტეტი ახალ სასწავლო წელს, ამის გარკვევას გაზეთი „შირაქი" დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან მაკა ჯანაშვილთან შეეცადა.

— ***ქალბატონო მაკა, გვიამბეთ, როგორ ხვდება დედოფლისწყარო ახალ სასწავლო წელს?***

— მოგეხსენებათ, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2024-2025 სასწავლო წელი 16 სექტემბერს იწყება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული 16-ივე სკოლა ახალ სასწავლო წელს მომზადებული ხვდება. განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელშეწყობით, საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია წიგნებითა და რვეულებით. ახალი სასწავლო წლისთვის საჯარო სკოლების პირველკლასელები და მათი დამრიგებლები მიიღებენ პორტაბელურ კომპიუტერებს. 2024-2025 სასწავლო წელსაც სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მოსწავლეებისთვის კვლავ გაგრძელდება ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია 9 სკოლა და სარგებლობს ჩვენი მუნიციპალიტეტის 761 მოსწავლე. წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 208 პირველკლასელია დარეგისტრირებული. სკოლის ხელმძღვანელები, პედაგოგები განსაკუთრებული სიყვარულით ელოდებიან პატარა მოსწავლეებს, რომლებიც სრულიად ახალ ეტაპს იწყებენ ცხოვრებაში.

— ***რამდენიმე სკოლის გარდა რეაბილიტაცია თითქმის ყველა სკოლას შეეხო, რა ხდება მუნიციპალიტეტის სკოლებში ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით.?***

— ყველამ კარგად ვიცით, რომ სკოლებში თანაბრად ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, ქვეყნის მთავრობის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს გამართული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა და უზრუნველყოფა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც აქტიურად მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესი. ამ ეტაპზე აქტიურად ფაზაშია სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, რომლის დასრულებაც იგეგმება მიმდინარე წლის ნოემბერში. თითქმის დასასრულს უახლოვდება სოფელ ოზაანის საჯარო სკოლის მშენებლობა. დღევანდელი მოცემულობით მხოლოდ სკოლის ეზოს მოწყობის სამუშაოებია დარჩენილი, რომელიც სულ მალე დასრულდება და სოფელს ჩაბარდება თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, 120 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა. იმისთვის რომ დაცული იყოს სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოება, ველოდებით ეზოს მოწყობის დასრულებას, შემდგომ კი სასწავლო პროცესი გაგრძელდება ახალ სკოლაში.

სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლა წელს სწავლას განაახლებს ახლადრეაბილიტირებულ ძირითად შენობაში. სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. 2024-2025 სასწავლო წელს სამთაწყაროს საჯარო სკოლაში სწავლა დაიწყება სრულიად თანამედროვე, ახალი სტანდარტების და განახლებული ინფრასტრუქტურის მქონე შენობაში. მანამდე ისინი ნაქირავებ შენობებში სწავლობდნენ. სამთაწყაროს საჯარო სკოლა უკვე გადასულია ძირითად კორპუსში, შესაბამისად ახალი სასწავლო წელი განახლდება და განხორციელდება ახალ, განახლებულ შენობაში. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მშენებლობის პროცესი. დაიწყო სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლის მშენებლობაც. სკოლა აშენდება იმავე ეზოში, არსებული სკოლის მიმდებარედ, ისე რომ მშენებლობის დროს ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის წარმართვას. ყოველივე აქედან გამომდინარე ნათლად ჩანს, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი სახელმწიფო იმისთვის, რომ ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას, განათლების მიღების შესაძლებლობა და გარემო ქონდეთ მაქსიმალურად კომფორტული და ინკლუზიური.

— ***მანდატურის სამსახურის ამოქმედება ხომ არ იგეგმება კიდევ რომელიმე სკოლაში?***

— მანდატური სკოლაში უსაფრთხო გარემოსთან და ზრუნვასთან არის დაკავშირებული. ეს სამსახური სკოლას სთავზობს კომპლექსურ სერვისს ფსიქო-სოციალური, თუ უსაფრთხოების კუთხით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლას, სოფელ ხორნაბუჯის და ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლებს ემსახურება მანდატურის სამსახური. ეს ის სამსახურია, რომელთაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან ერთად, სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი გარემოს შექმნა ევალება. აქვე დავამატებ, რომ იმ სკოლებში სადაც უშუალოდ არ არის ჩართული მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირია განსაზღვრული, რომელთაც მანდატურის სამსხურის მიერ აქვთ გავლილი შესაბამისი სასწავლო ტრენინგი და სასწავლო წლის მიმდინარეობისას პასუხს აგებენ მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და სასკოლო გარემოში წესრიგის დაცვაზე.

— ***როგორია კურსდამთავრებულების შედეგების თქვენეული შეფასება. რამდენად კარგი შედეგები აჩვენეს წელს დედოფლისწყაროელმა აბიტურიენტებმა?***

— წლევანდელი წელი აბიტურიენტებისთვის იყო წარმატებული, შედეგიანი ,რაც გამოვლინდა იმ მიღწევებით და ქულათა მაჩვენებლებით რაც მათ აჩვენეს ეროვნულ გამოცდებზე. წელს სკოლა დაამთავრა 178 მოსწავლემ, მათგან 60% სტუდენტია. თითოეულ მათგანს ვუსურვებ წარმატებას და ნათელ მომავალს.

— ***საუბრის დასასრულს შეგიძლიათ მიულოცოთ „შირაქის" მკითხველს ახალი სასწავლო წლის დაწყება...***

— მინდა სასკოლო საზოგადოებას და სრულიად საქართველოს მოქალაქეებს მივულოცო ახალი 2024-2025 სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით ვეფერები და ვულოცავ სასწავლო წლის დაწყებას ჩვენს პირველკლასელებს, რომლებიც წელს პირველად შეაბიჯებენ სკოლის კარს, რათა დაეუფლონ ცოდნას და ღირსეული მამულიშვილობა გაუწიონ ჩვენს სამშობლოს. ჩვენს მოსწავლეებს კი მონდომებას, სიბეჯითეს, ცოდნის შეძენის დაუოკებელ სურვილს და გამარჯვებას ვუსურვებ.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

სოფელ ზემო ქედში №1 სკოლის მშენებლობა დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები სულ მალე დაიწყება. 120 მოსწავლეზე გათვლილ შენობას განათლების სამინისტროს „საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" დაკვეთით კომპანია „საბა კონსტრაქშენი" ააშენებს. საძირკველი უკვე გაჭრილია და ამისათვის ბიუჯეტიდან 4 429 201 ლარია გათვალისწინებული.

გამოცხადებულ ტენდერში სამი კომპანია მონაწილეობდა. თავდაპირველად ამხანაგობა „სისტექ სათავე ჯვ"-მ გაიმარჯვა, რომელმაც სამუშაოების შესრულების ყველაზე ნაკლები ღირებულება დააფიქსირა. თუმცა, პირველივე ეტაპზე დოკუმენტების გაუმართავობის და სხვადასხვა ხარვეზის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და პროცესს გამოეთიშა. შესაბამისად, წესის მიხედვით, საქმეში მეორე ადგილზე გასული კომპანია „საბა კონსტრაქშენი" ჩაერთო.

„შირაქმა" გაარკვია, რომ სხვა სკოლების მსგავსად მშენებლობის დასაწყებად ამჟამად მოქმედი სასკოლო შენობის დანგრევის აუცილებლობა არ დგას. როგორც სკოლაში განმარტავენ, ეზოში საკმაო ფართია იმისათვის, რომ ახალი შენობა ძველის დაშლის გარეშე აშენდეს. ამდენად, დემონტაჟი და სკოლის სხვა შენობაში გადაყვანა არ იგეგმება, რაც დამატებით სირთულეებს და დროის გაჭიანურებას აღარ გამოიწვევს. ამიტომაც, კომპანია ზემო ქედის №1 სკოლის ახალი შენობის ჩაბარებას გათვალისწინებულზე ნაკლებ დროში გეგმავს. ზემო ქედში ამბობენ, რომ ძველ შენობას, რომელიც ძალზე ამორტიზებულია, მხოლოდ მას შემდეგ დაშლიან, რაც სასწავლო პროცესი მთლიანად ახალ კორპუსში გადაინაცვლებს.

პროექტის მიხედვით, სკოლა ორსართულიანი იქნება. ახალი შენობა უნდა მოიცავდეს 12 საკლასო ოთახს, სამ კაბინეტსა და ერთ ლაბორატორიას. საკლასო ოთახებში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 ბავშვს. ამას გარდა, ბიბლიოთეკა წიგნსაცავითა, კომპიუტერული კუთხით და ექიმის კაბინეტით. მანდატურის/დაცვის ოთახი; სანიტარული კვანძის ბლოკები მოსწავლეებისათვის, ადმინისტრაციისათვის და შ.შ.მ პირებისათვის; კვების ბლოკი-სასადილო/ბუფეტი; დამლაგებლის ოთახი სველი წერტილით და სადეზინფექციო სათავსით; ფოიე გარდერობით, დერეფანი. ღია ხელოვნრუსაფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი; საინჟინრო შენობანაგებობა და რეკრეაციული ზონა;

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, თავდაპირველად საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ვადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის №1 საჯარო სკოლაზე განისაზღვრა 12 თვის ვადით. თუმცა, შემდგომში კომპანია „საბა კონსტრაქშენმა" ვადა შეამცირა და ახალი შენობის აგების ვალდებულება აიღო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვის აღებიდან სატენდერო დავალებით მოცემული 12 თვიანი სამშენებლო ვადის კორექტირებით. კერძოდ, მათი მოთხოვნა იყო აღნიშნული 12 კალენდარული თვე (360 კალენდარული დღე); შემცირდეს დადგენილი საპროექტო დოკუმენტაციის ჩაბარების თარიღის ვადაგადაცილებული დღეებით (225 კალენდარული დღე). შესაბამისად, საბოლოო სამშენებლო ვადა განისაზღვროს 135 კალენდარული დღით.

სამინისტრომ მშენებელ კომპანიას დაავალა ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმაზე დატანილ იქნას სარეკრეაციო სივრცეები, მათ შორის ღობე და ჭიშკარი შესაბამისი სპეციფიკაციებით. დასარგავი წიწვოვანი ხეები, გამწვანება, გზები და ბილიკები შესაბამისი ინფრასტრუქტურით. განათების ბოძები მოეწყოს საპროექტო სკოლის შენობის მთელ გარე პერიმეტრზე. წარმოსადგენია ტერიტორიის კეთილმოწყობის გეგმა ავტოსადგომის ჩვენებით. დაერთოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად დამუშავებული გენგეგმა. შენობის გარე პერიმეტრზე მოწყოს სახანძრო, ასფალტობეტონის გზა შესაბამისი ნორმებისა და რეგლამენტების გათვალისწინებით. ტექნიკური დავალების მიხედვით დამატებით უნდა მოეწყოს სპორტული აქტივობის სივრცე, სადაც განლაგებული იქნება სპორტული აქტივობის ინვენტარი, მაგ. ტენისის მაგიდა, შვედური კედელი ან საცოცი კედელი, დამატებით კომპიუტერების ოთახები მოეწყოს მოსწავლეთა შესაბამისი რაოდენობის მიხედვით.

ზემო ქედში მოქმედი კიდევ ერთი სკოლა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებით, მილენიუმის პროგრამით სრულად განახლდა და 2019 წელს სოფლის მე-2 სკოლამ სასწავლო პროცესი რეაბილიტირებულ შენობაში დაიწყო.

ილია მარტყოფლიშვილი

სამთაწყაროს სკოლა ახალ შენობაში

მუნიციპალური განვითარების ფონდმა დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში სკოლის აღდგენის სამუშაოებისთვის ტენდერი 2020 წლის ივლისში გამოაცხადა, გამოავლინა სამუშაოების მწარმოებელი კომპანია და ითქვა, რომ 11 თვის ვადაში განახლებულ სასკოლო შენობას ჩააბარებდნენ. 2021 წლის სექტემბერში კი სოფელს 330 მოსწავლეზე გათვლილი თანამედროვე სკოლა ექნებოდა და ახალი 2021—2022 სასწავლო წელი რეაბილიტირებულ შენობაში უნდა დაწყებულიყო. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 4 052 903 ლარი გამოიყო. კოვიდ-პანდემიისა და სხვადასხვა მიზეზების გამო პროცესი გაჭიანურდა.

4 წლიანი დაგვიანების შემდეგ სამთაწყაროს სკოლამ მხოლოდ ახლა შეძლო ნაქირავები ფართის დაცლა, რომელიც სოფელში მდებარე ორი საცხოვრებელი სახლის შენობაში იყო სახელდახელოდ მოწყობილი, სასწავლო პროცესისთვის მოუხერხებელი და შეუსაბამო იყო.

როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაზეთ „შირაქს" ეუბნებიან, ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე განახლებული შენობა სამთაწყაროელ მოსწავლეებს უმასპინძლებს. მიმდინარე წელს სოფელ სამთაწყაროში 10 პირველკლასელია რეგისტრირებული. **შირაქი**

სამთაწყაროს სკოლა

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი გამარჯვება

თბილისში ჩეხეთის განადგურებას ვილი სანიოლის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა ალბანეთში მოპოვებული 3 ქულა მიაყოლა, რაც სატურნირო თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი შეიძლება გამოდგეს. აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყნის უპირველეს გუნდს ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის მშვენიერი შანსი აქვს...

გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიანო, ნათქვამია და ნაკრების თავკაცმაც ძველ ჭეშმარიტებას სცა პატივი. ვილი სანიოლმა ზუსტად ის თერთმეტეული დააყენა სასტარტოში, რომელსაც ჩეხეთთან შეხვედრაში ენდო. შესაძლოა, გულშემატკივარი ისეთ საფეხბურთო ფეერიას ელოდა, როგორიც ჩეხეთთან მატჩში ვიხილეთ, მაგრამ ყველა მატჩს თავისი კონკრეტული სპეციფიკა აქვს და ცხადი იყო, რომ ტირანაში ისე ვერ ვითამაშებდით, როგორც თბილისში ჩეხეთთან შევძელით.

ალბანეთის ნაკრები დღეს ევროპული მასშტაბით სერიოზული ძალაა. აგერ, ევროპის ჩემპიონატზე „სიკვდილის ჯგუფში“ მოხვედრილმა ფავორიტებს „სისხლი გაუშრო“, ხორვატიას კი სულაც უმნიშვნელოვანესი ქულები დააკარგვინა...

ვთქვათ ერთიც - ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი ციკლი ალბანეთის ნაკრებმა ისე ჩაამთავრა, ერთი ბურთიც კი არ გაუშვია. „არწივებს“ მშვენიერი შემადგენლობა ჰყავთ, მეტადრე - იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელები, რომლებიც იქ სტატისტების როლში ნამდვილად არ არიან...

„ეარ ალბანიაზე“ გამართული მატჩი ჩვენთვის მოსალოდნელი სცენარით წარიმართა. პირველი ტურის შემდეგ ორივე გუნდის აქტივში 3-3 ქულა იყო. რისკს ორივე მწვრთნელი მოერიდა და ამაში იყო ლოგიკის გვარიანი მარცვალი.

ისეთი თამაში იყო, რომლის ბედსაც ხშირად ერთი გოლი წყვეტს და ეს გოლი საქართველოს ნაკრებმა გაიტანა - გოლი, რომელიც მართლაც რომ ულამაზესი გამოვიდა... თუმცა, ამაზე ქვემოთ. ჯერ კი დავწეროთ, რომ საქართველოს ნაკრებმა 3 ქულა სრულიად დამსახურებულად მოიპოვა.

მთავარი და გადამწყვეტი ის იყო, რომ ჩვენმა გუნდმა მთელი მატჩის განმავლობაში ითამაშა უაღრესად კომპაქტური ფეხბურთი და ერთხელაც კი არ დაუკარგავს კონცენტრაცია. იოლი ნამდვილად არ არის, ისე ითამაშო ტირანაში, რომ მეტოქეს რეალური მომენტი არ შეაქმნევინო.

ის კი არა, საგოლე მომენტები რომ გამოგვეყენებინა, წესით, გაცილებით სოლიდური ანგარიშითაც უნდა მოგვეგო, მაგრამ ეს ფეხბურთია და ყველაფერს ვერ გაიტან. თანაც, მართლაც დიდებულად ითამაშა ალბანელთა მეკარე ტომაშ სტრაკოშამ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი - იმ პირობებში, როცა ხვიჩა კვარაცხელიამ ვერ ჩაატარა გამორჩეული მატჩი, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში მიღებული ტრავმის გამო, გამოჩნდა, რომ საქართველოს ნაკრები სულაც არ არის „ერთი კაცის გუნდი“. ასეთ შემთხვევაში ლიდერობა სხვა ფეხბურთელებმა იტვირთეს და ეს ძალიან კარგია, რადგან ჩვენი მთავარი ვარსკვლავი ყველა მატჩს ერთ დონეზე ვერ ითამაშებს...

პირველ ტაიმში საგოლესთან მიახლოებული შანსები საქართველოს ნაკრებს უფრო ჰქონდა, თუმცა, მაინც უფრო დაზვერვა იყო, ვიდრე ფეხბურთი. გარისკვას ორივე გუნდი ძალიან ერიდებოდა, თუმცა, შეტევაში უფრო მწვავე მაინც საქართველოს ნაკრები იყო.

აი, მეორე ტაიმში კი „ჯვაროსნებმა“ გაცილებით ფხიანად ითამაშეს შეტევაში და სადაც სამართალია, ერთზე მეტიც უნდა გაგვეტანა, თუმცა, მოდით, ამ ერთ, 3-ქულიან გოლსაც დავჯერდეთ. დასაწყისში ალბანელები მცირედით კი აქტიურობდნენ, თუმცა, მალე ოთარ კიტეიშვილის დარტყმულს ოდნავ დააკლდა სიზუსტე, თორემ სტუმრები უსათუოდ დაწინაურდებოდნენ.შემდეგი სახიფათო მომენტებიც საქართველოს ნაკრებმა შექმნა, თანაც, ორი - ერთ შეტევაში. გიორგი მიქაუტაძემ ჩვეული ილეთით დააწვინა მცველი, თუმცა, მისი დარტყმული დაიბლოკა. გადმოვარდნილი ბურთი კი ოთარ კაკაბაძემ ვერ გაიტანა.

71-ე წუთზე კი მატჩის მთავარი ეპიზოდი ვიხილეთ - გიორგი ქოჩორაშვილმა შორი მანძილიდან მართლაც რომ ყუმბარისებურად „გაისროლა“. ბურთი ხარიხას მოხვდა და ბადეში ჩაეშვა. გოლი ისეთი გამოვიდა, მსოფლიო ფეხბურთის ნებისმიერი ვარსკვლავი მოაწერდა ხელს. „ქოჩორამ“ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა. ეს იყო პირველი კარში დარტყმა ამ მატჩში...

87-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ზურიკო დავითაშვილმა მოიპარა ბურთი, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მცველთან ბრძოლაში ძლიერადაც დაარტყა, თუმცა... სტრაკოშამ ამჯერადაც შესანიშნავად ითამაშა და აშკარა გოლისაგან იხსნა „არწივები“.ორ წუთში უკვე მატჩის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს, გიორგი ჩაკვეტაძეს შეეძლო გატანა. ალბანელთა მეკარემ ამჯერადაც მშვენიერი რეაქცია გამოავლინა და ბურთი კვლავ კუთხურზე მოიგერია. საქართველოს ნაკრებმა ძალიან მშვიდად მიიყვანა მატჩი საბოლოო გამარჯვებამდე და ოქტომბრამდე დაგვემშვიდობა!

და ბოლოს - ზუსტად 30 წლის წინ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, შოთა არველაძის გოლით, ტირანაში 1:0 დაამარცხა ალბანეთის ნაკრები, რომელიც მაშინ ვერ იყო იმ დონის, როგორიც დღესაა. ახლა საქართველოს ნაკრებიც არ არის ისეთი, როგორიც 30, 15 ან თუნდაც 5 წლის წინ იყო, მაგრამ უცვლელი დარჩა ერთი რამ - მაშინ გოლი გავუტანეთ ფოტო სტრაკოშას, ამჯერად კი მის ვაჟს - თომას სტრაკოშას. აი, ასე ვართ - სტრაკოშადან სტრაკოშამდე, შოთადან „ქოჩორამდე“...

„ეს არ იყო მხოლოდ გამარჯვება, ეს იყო ნაბიჯი ჩვენი მისიისკენ. როგორც გუნდი, ჩვენ მზად ვართ მაქსიმუმი გავიღოთ, რათა ვიყოთ მაგალითი მათთვის, ვინც გვიჭერს მხარს, რადგან ვიცით, რომ ნამდვილი ძალა არ არის იმაში, რასაც მარტო ვაკეთებთ, არამედ, მაშინ ვართ ძლიერები, როცა ერთად ყოფნით რაღაც დიდს ვაღწევთ.სიმამაცე, დისციპლინა და პატივისცემა თამაშისადმი ჩვენი ფარია. ჩვენ ვაგრძელებთ სვლას, იმ რწმენით, რომ არასდროს დავნებდებით, სანამ არსებობს ვიღაც, ვისთვისაც ბრძოლა ღირს და ეს ვიღაც მსოფლიოში საუკეთესო, ქართველი გულშემატკივარია და ჩვენ არასდროს დავნებდებით!“- წერს გიორგი ქოჩორაშვილი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე.

დედოფლისწყაროელი ძიუდოისტის მორიგი წარმატება

ბათუმში, 12-13 სექტემბერს, ძიუდოს საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის თასი“ გაიმართა.

ტურნირი სოლომონ ფეიქრიშვილის სახელობისაა და მასში მონაწილეობას 2007-2008 წლებში დაბადებული ძიუდოისტები იღებენ.

საქართველოს სახელით, შეჯიბრებაში 200-მდე სპორტსმენმა იბრძოლა. ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის 16 წარმოშობით აჭარიდანაა.

„შავი ზღვის თასში“ მონაწილეობას 6 ქვეყნის: საქართველოს, უკრაინის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და კვიპროსის, წარმომადგენლები იღებდნენ.

ბრძოლები მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა და მასში მონაწილეობა დედოფლისწყაროელმა გიორგი ბენიაიძემ მიიღო და წარმატებაც მოიპოვა.

შედეგები - ფიკგ

**** გიორგი ბენიაიძე;***
**** გიორგი კოლუაშვილი;***
**** საბა ჩიკვაიძე;***
**** გელა თოფჩიშვილი;***

„ყველაზე პროგრესირებადი საქართველოა - ისინი შეტევაში გაიქცევიან“

ცნობილმა უკრაინელმა მწვრთნელმა ვიტალი კვარციანიმ ua-football-თან ერთა ლიგაზე მათი ნაკრების მიერ განცდილი ორი მარცხის შემდეგ შანსები შეაფასა და საქართველოს ეროვნულ გუნდზე ისაუბრა:

„ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებიდან ყველაზე პროგრესირებადი საქართველოა. გუნდს, რომელიც არასტანდარტულად თამაშობს და ჯგუფში ლიდერობს, ჩვენი ეროვნული გუნდი მესამე ტურში უნდა შეხვდეს - პოლონეთის ქალაქ პოზნანის პირობით საშინაო არენაზე. ერთი ტურის შემდეგ კი - თბილისში. სამწუხაროა, რომ კალენდრის მიხედვით ალბანეთთან გასვლითი დაპირისპირება ნოემბერში გვაქვს, თორემ ამ ქვეყანაში სტუმრობა და ზღვაში ბანაობა შეგვეძლებოდა (იცინის). თუ სერიოზულად, საქართველოსთან ადვილი თამაშები არ გველოდება.

დარწმუნებული ვარ, საკმაოდ საინტერესო შეხვედრები იქნება. შესაძლოა, ინდივიდუალურად ძლიერი ქართველები შეტევაში მხიარულად გაიქცევიან, ჩვენ კი ამას გამოვიყენებთ. ყველა „ძალისმიერი“ ნაკრები ხომ, როგორებიც ალბანეთი და ჩეხეთია, დაცვაზე ფიქრობს, ხოლო საქართველო სტილით სხვაა - ეს ტექნიკური, იმპროვიზებული გუნდია. მისი ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა და ახლა ორი გამარჯვება ერთა ლიგის ორ მატჩში, სადაც ის ჯგუფში პირველ ადგილზეა, იმას ადასტურებს, რომ საინტერესო ბრძოლა იქნება. საქართველოსთან მატჩებში წარმატებული შედეგის მიღწევის იმედი არსებობს, თუმცა უკრაინის ნაკრებს ძალიან გაუჭირდება“.

ოფიციალურად: თემურ ქეცბაიამ კვიპროსის ნაკრები დატოვა

56 წლის ქართველმა სპეციალისტმა თემურ ქეცბაიამ კვიპროსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა.

ადგილობრივ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქეცბაიამ კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გეორგიოს კუმასთან შეხვედრა მოითხოვა და არ იყო გამორიცხული, რომ გადამდგარიყო.

ქეცბაია კვიპროსის ნაკრებს 2022 წლის სექტემბრიდან მოყოლებული ავარჯიშებდა. ჯამში მან გუნდი 20 შეხვედრაში გაწვრთნა, სადაც 5 მოგება, 2 ფრე და 13 წაგება მოაგროვა. კვიპროსელებმა 19 გოლი გაიტანეს, 49 კი საკუთარ კარში მიიღეს.

იმიტირებული არჩევნები დედოფლისწყაროშიც ჩატარდა

11 სექტემბერს იმიტირებული არჩევნები კიდევ ერთხელ ჩატარდა. იმიტირებული კენჭისყრა ქალაქ დედოფლისწყაროში, სამრეკლოსა და არბოშიკში გაიმართა.

იმიტირებულ არჩევნებში მონაწილეობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმაც მიიღო. მან ხმა დედოფლისწყაროს N1 საარჩევნო უბანზე მისცა.

ამომრჩევლები პირადად გაეცნენ ვერიფიკაციისა და ხმის მთვლელი აპარატების მუშაობას. მოქალაქეებმა გაიარეს ხმის მიცემისთვის საჭირო პროცედურები - რეგისტრატორის მაგიდასთან ბიულეტენზე საცდელი წრის გაფერადება, ფარული კენჭისყრის კაბინაში ბიულეტენზე წრის გაფერადება, ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით ჩარჩო-კონვერტში ბიულეტენის მოთავსება და ხმის მთვლელ აპარატში (ყუთში) ბიულეტენის მოთავსება. პროცესის მიმდინარეობისას საარჩევნო მოხელეები დაინტერესებულ პირებს თითოეულ პროცედურას განუმარტავდნენ და მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხობდნენ.

ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, იმიტირებული კენჭისყრა, რომელში მონაწილეობაც ნებისმიერ ამომრჩეველს შეეძლო, საარჩევნო ადმინისტრაციამ მთელი ქვეყნის მასშტაბით 598 საარჩევნო უბანზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გამართა.

საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით იმიტირებულ კენჭისყრაში მონაწილეობა 122 864-მა ამომრჩეველმა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში განხორციელებული საარჩევნო რეფორმის შედეგად პარლამენტის მორიგი და ყველა შემდგომი არჩევნები საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება. 26 ოქტომბერს ამომრჩეველთა თითქმის 90% საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. იცვლება ამომრჩევლის ვერიფიკაციის (რეგისტრაციის) და ხმის მიცემის პროცედურები.

შესაბამისად, ტექნოლოგიური სიახლეების შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება და განათლება საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ დროისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმირების კამპანიის შედეგად ინფორმირებულია 600 000-ზე მეტი ამომრჩეველი.

ინგა შიოლაშვილი

მუზეუმელთა ალიანსმა საუკეთესო მუზეუმელები გამოავლინა

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გასულ კვირას „მუზეუმელთა ალიანსში“ გაწევრიანდა. პროფესიული კავშირი რეგიონებში მოქმედ ყველა მუზეუმს აერთიანებს, ყოველწლიურ ყრილობაზე სამინისტროს მხარდაჭერით ღვაწლმოსილ მუზეუმელებს აჯილდოვებს და მრავალწლიანი შრომისთვის მადლობას უხდის.

ლალი გურასპაული ***(დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი):*** „მოგეხსენებათ, ჩვენს მუზეუმში მრავალი საინტერესო ექსპონატი ინახება. ფონდში ასევე დაცულია წითელწყაროში მოქმედი სახალხო თეატრის აფიშები. თითქმის ყველა სპექტაკლის აფიშა საკმაოდ დიდი რაოდენობით გვაქვს შემონახული. მიმდინარე წლის დასაწყისში „მუზეუმელთა ალიანსი“ დაინტერესდა ძველი ქართული აფიშებით, სწორედ მათ შევატყობინეთ, რომ ჩვენც გვქონდა 1960-იანი წლებიდან შენახული აფიშები, რომელიც წითელწყაროს თეატრალური დასის სხვადასხვა წარმოდგენების შესახებ ინფორმაციას მოიცავს. ცხადია, „მუზეუმელთა ალიანსი“ დაინტერესდა ამით და რამდენიმე თვის წინ ისინი დედოფლისწყაროში ჩამოვიდნენ და ჩვენს მუზეუმს ესტუმრნენ. დაათვალიერეს აფიშები, გადაიღეს და ჩვენს შორის საინტერესო საქმიანი დიალოგი შედგა. მათთან ურთიერთთანამშრომლობის კავშირები მას შემდეგ გვაქვს. გამოვხატეთ სურვილი, რომ ჩვენც გავწევრიანებულიყავით ალიანსში. მუზეუმელთა გაერთიანება თითქმის ყველა მუზეუმს აერთიანებს, აქ წყდება მუზეუმების ავ-კარგი, მსჯელობენ პრობლემებზე, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და ამიტომ დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩენც მათი ნაწილი ვყოფილიყავით. გავწევრიანდით და რიგით მესამე ყრილობაზე მიგვიწვიეს. ტრანსპორტირებაც მათვე უზრუნველყვეს და სიღნაღის მუზეუმთან ერთად გავემგზავრეთ ამ შეხვედრაზე დასასწრებად. არაჩვეულებრივი გარემო დაგვხვდა. საინტერესო სივრცე და სიტუაცია იყო, საოცარი სითბო ტრიალებდა. მანამდე მუზეუმელების ასე ერთად თავმოყრა არ ყოფილა და ახლა ყველას მოგვეცა შესაძლებლობა ერთ სივრცეში, ღია ცის ქვეშ შევკრებილიყავით, ერთმანეთი გაგვეცნო და პრობლემებზე და პერსპექტივებზე გვესაუბრა. საინტერესო იყო ასევე კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის გამოსვლაც. ყრილობა ყოველწლიურად დააჯილდოვებს მუზეუმის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს, რომელთაც 50 და მეტი წელი გაატარეს მუზეუმში. მომავალ წელს ჩვენს თანამშრომელს ლალი ბასილაშვილსაც 50 წელი შეუსრულდება რაც მუზეუმში მუშაობს. ამდენად, გვაქვს მოლოდინი, რომ მომავალში ისიც მოხვდება დაჯილდოვებულთა შორის. ყრილობაზე იყო ცრემლიც და ბევრი სიხარულიც, ძალიან სასიამოვნო და ემოციური დღე გამოვიდა, რომელიც ხალხური სიმღერების კონცერტით დასრულდა. კმაყოფილები დავბრუნდით, მომავალი აქტიური თანამშრომლობის იმედით.“

ლალი გასილაშვილი ***(მუზეუმის მკვლევარი):*** „ხუთი ათეული წელია მუზეუმში ვმუშაობ და ასეთი ფორმატის შეხვედრა ჯერ არ ყოფილა. პირველი შემთხვევაა, როცა მუზეუმელები ერთად დასხდნენ, ერთმანეთის დაფასებაზე, განვითარებაზე ზრუნვა და მსჯელობა დაიწყეს და ამას ყოველწლიური ხასიათი ექნება. კმაყოფილი დავბრუნდი შეხვედრიდან. ძალიან მრავალფეროვანი და საჭირო ყრილობა გამოვიდა. ჩემთვის ყველა გამომსვლელი საინტერესო იყო. საუბარი იყო დღევანდელობაზე, პრობლემებზე, მიღწევებზე, სამომავლო გეგმებზე. ერთმანეთს გავეცანით, სამომავლო თანამშრომლობაზე ვისაუბრეთ და ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გავუზიარეთ. რაც შეეხება ღვაწლმოსილი მუზეუმელების დაჯილდოვებას, ეს იმის გამოხატულებაა, რომ ხელმძღვანელი პირები აფასებენ მუზეუმელების მრავალწლიან შრომას და მადლობას უხდიან ნაყოფიერი მუშაობისთვის. გავიცანით ამჯერად დაჯილდოვებული ღირსეული მუზეუმელები და მათი ბიოგრაფიული ცნობები. ასეთი ნაბიჯი სტიმულის მომცემი და წამახალისებელია მუზეუმელებისთვის“.

ამჯერად, მუზეუმელთა ალიანსის ყოველწლიური ყრილობა შალვა ამირანაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმის და ეთნოგრაფიული მუზეუმში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების ამსახველი ჩვენება გაიმართა. ცერემონია საზეიმოდ ეთნოგრაფიული მუზეუმის ანსამბლების - „დიდგორისა“ და სამეფო ნაციონალურ ბალეტ „ფოცხიშვილების“ - კონცერტით დაიხურა.

როგორც მოგეხსნებათ, კულტურის სამინისტროს უწყებრივი ჯილდო - „საუკეთესო მუზეუმელი“ თეა წულუკიანმა 2022 წლის 18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად დააფუძნა. ინიციატივა სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს, ნიკა ახალბედაშვილს, სსიპ ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის დირექტორ გიორგი კალანდიასა და გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორ ნინო ჭიპაშვილს ეკუთვნით.

თინ სოსანიძე — სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის ძვირფასეულის სექტორის კურატორი, მრჩეველ-კონსულტანტი; **როლანდ ისაკაძე** — საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი; **ჯუმბერ კოპალიანი** — დმანისის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ნოემბრიდან საქართველოს კულტურის მინისტრის ინიციატივით „მუზეუმელთა ალიანსის“ ბარათის ყველა მფლობელს შესაძლებლობა აქვს უფასოდ ესტუმროს კულტურის სამინისტროს სისტემის ყველა მუზეუმს.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიების ფარგლებში შალვა ამირანაშვილის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმის და ეთნოგრაფიული მუზეუმში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების ამსახველი ჩვენება გაიმართა. ცერემონია საზეიმოდ ეთნოგრაფიული მუზეუმის ანსამბლების - „დიდგორისა“ და სამეფო ნაციონალურ ბალეტ „ფოცხიშვილების“ - კონცერტით დაიხურა.

ილია მარტყოფლიშვილი

ვინ იყვნენ პირველი პარლამენტარი ქალები

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც ქალთა უფლებები საკანონმდებლო დონეზე ასახა და არჩევნებზე ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბარი უფლებები მისცა.

საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციით, 1921 წელს იქნა მიღებული საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის 39-ე მუხლში ჩაიწერა: ***„ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკურ ისე სამოქალაქო, ეკონომიურ და საოჯახო უფლებით“***. 1919 წელს კი საქართველოს ტერიტორიაზე დამფუძნებელი კრების არჩევნები შედგა, რომელიც საყოველთაო, პარიტეტული პრინციპით ჩატარდა. სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიაში 20-ზე მეტი ქალი იყო, მათგან ხუთი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გახდა.

მაშინ დამფუძნებელთა კრებაში 5 ქალი იყო: ქრისტინე შარაშიძე, ანა სოლოღაშვილი, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ელისაბედ ნაკაშიძე-გოლქვაძე და მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე. ამ მასალით გაგაცნობთ 5 ქალს, რომელიც პირველი პარლამენტარები იყვნენ. მათ ქვეყნის განვითარებაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი.

ელისაბედ ნაკაშიძე-გოლქვაძე (1885-1937)

1904 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში. 1917 წელს „გურიის ქალთა საზოგადოების“ თავმჯდომარედ აირჩიეს, 1919 წლიდან კი დამფუძნებელი კრების შრომის კომისიის წევრი გახდა. ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის პირველად, 38 წლის ასაკში, ურალის მხარეში გადაასახლეს.

1925 წელს ელისაბედი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ ერთ წელიწადში კვლავ დააკავეს - ჯერ ციმბირში, მინუსინსკის პოლიტ-იზოლატორში მოათავსეს, შემდეგ კი ურალსკისა და ალთაის მხარეში გადაასახლეს.

1937 წელს რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ის კრასნოიარსკის მხარეში კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დახვრიტეს.

მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე (1879-1967)

სწავლობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, 1901 წლიდან კი ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. შვეიცარიაში სწავლის დროიდან აქტიურად მონაწილეობდა სოციალისტური წრეების მუშაობაში.

დამფუძნებელი კრების წევრად არჩევის შემდეგ მონაწილეობდა შრომისა და სახალხო ჯანმრთელობის კომისიების საქმიანობაში. 1921 წელს, საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის დროს, მუშაობდა წითელ ჯვარში, შემდეგ ორგანიზაციაში „არა“ (ამერიკული დახმარების ორგანიზაცია – American Relief Administration), ხელმძღვანელობდა ქალთა არალეგალურ ორგანიზაციას და აქტიურ ანტისაბჭოთა მოღვაწეობას ეწეოდა.

1924 წელს ერთი წლით მოსკოვში იძულებით გაასახლეს, 1936 წლიდან კი ყაზახეთში. თბილისში დაბრუნების უფლება მხოლოდ 12 წლის შემდეგ მისცეს. გადასახლებაში ყოფნისას აქტიურ სამედიცინო პრაქტიკას ეწეოდა და რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობდა.

1937-38 წლებში დახვრიტეს მისი ქმარი და ორივე შვილი. გარდაიცვალა 1967 წელს.

ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე (1875 – გარდაცვალების თარიღი უცნობია)

1902 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, ორგანიზაციამ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფი (რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ელეონორა) რეალურად ხელში აიღო ქალაქ სოხუმის მმართველობა და ჩაანაცვლა მეფის ხელისუფლების თითქმის ყველა სტრუქტურა. ამის გამო 1908 წელს პირველად დააპატიმრეს. 1917 წლამდე კიდევ სამჯერ იყო დაპატიმრებული.

1918 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩართული იყო არალეგალურ, ანტი-საბჭოთა მოძრაობაში. 1924 წლის აჯანყების შემდეგ აქტიურობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ორგანიზაციების აღდგენის პროცესში. 1925 წელს აირჩიეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური ცეკას შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ-ს საგანგებო კომისიამ 1926 წელს დააპატიმრა და ამიერკავკასიის ფარგლებიდან გაასახლა. გადასახლებიდან დაბრუნდა 30-იან წლებში; ეწეოდა კერძო პედაგოგიურ საქმიანობას. გარდაცვალების თარიღი უცნობია.

ანა (ოლა) სოლოღაშვილი (1882-1937)

21 წლის ასაკიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, მეფის რუსეთის დროს არაერთხელ დაუპატიმრებიათ.

1903 წლიდან იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი. 1918 წლიდან მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში, ხელი მოაწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტს. 1918 წელს იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. 1919 წელს აირჩიეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრად სოციალ-დემოკრატების სიით. იყო საბიბლიოთეკო და სარედაქციო კომისიის წევრი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ჩაბმული იყო ანტი-საბჭოთა არალეგალურ მოძრაობაში. 1925 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

1937 წელს დააპატიმრა შინსახკომის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონულმა განყოფილებამ. 1937 წლის 27 ნოემბერს, საქართველოს სსრ-ს შინსახკომთან არსებულმა განსაკუთრებულმა სამეულმა (ე.წ. ტროიკა), ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო პროპაგანდის და „შოვინისტური“ განწყობების, ასევე „მენშევიკთა“ ლიდერ რამიშვილთან კავშირის ბრალდებით, ოლა სოლოღაშვილს დახვრეტა მიუსაჯა.

ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე (1887-1973)

სწავლობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, საიდანაც რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ გამოსვლების გამო 15 წლის ასაკში გარიცხეს. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და თსუ-ს დამფუძნებელი კომიტეტის წევრი.

1919 წელს აირჩიეს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრად, იყო ამავე პრეზიდიუმის მდივანი და სამი კომისიის წევრი. 1922 წლის თებერვალში, საქართველოს ოკუპაციის წლისთავთან დაკავშირებით, მე-10 პედაგოგიური სასწავლებლის გაფიცვა მოაწყო, რისთვისაც დააპატიმრეს და რამდენიმე თვე მეტეხის ციხეში იხდიდა სასჯელს.

1931 წელს თსუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა. მოგვიანებით კი, ცნობილი მეცნიერი გახდა, ქართული ხელნაწერების უბადლო მცოდნე და სამხრეთ საქართველოსთან დაკავშირებული ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი.

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ მცირე ხანს, დაახლოებით სამი წელი იარსება. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ქვეყნის პირველი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც დაჩქარებული წესით, ბათუმში დაიბეჭდა.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია მხოლოდ 4 დღის განმავლობაში მოქმედებდა. 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში შემოიჭრა და ქვეყნის ანექსია და ოკუპაცია მოახდინა.

პოლიტიკური წყობილების ელემენტები

პარლამენტის მუშაობის წესი

1. პარლამენტის მუშაობის წესი და პირობები საკმაოდ დეტალურად არის რეგლამენტირებული კონსტიტუციითა და სპეციალური კანონმდებლობით. თითოეული პალატა თავის მხრივ იღებს მრავალრიცხოვან და დეტალურ დადგენილებებს შინაგანი რეგლამენტის შესახებ.

2. პარლამენტი მუშაობს ძველებური სესიური წესით. ზოგიერთ ქვეყანაში მაგალითად საფრანგეთში, სესიის ხანგრძლივობა შეზღუდულია და საბოლოოდ არ აღემატება წელიწადში 170 დღეს. შეასაძლებელია აგრეთვე რიგგარეშე სესიის მოწვევა, როგორც წესი, აღმასრულებელი ხელისუფლების ან პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობის ინიციატივით. სხდომა უმეტესად ღია წესით მიმდინარეობს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ფართოდ შუქდება. ოფიციალურ გამოცემებში ქვეყნდება სრული სტენოგრაფიული ჩანაწერი. პალატების სხდომათა დარბაზში გამოყოფილია სპეციალური ადგილები (გალერეა) პრესის წარმომადგენლებისათვის ან მოწვეული პირებისთვის. სხდომების გარკვეული ნაწილი ხშირად ნახევრად ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. თუ რომელიმე საკითხის განხილვისას სავალდებულოა პარლამენტართა დასწრება, ბევრი მათგანი ცდილობს მრავალსაათიანი სხდომის გარკვეული ნაწილი კულუარებში, დასასვენებელ ოთახებში კაფეში ან ბარში გაატარონ, რომლებიც საგანგებოდ პარლამენტის წევრთა მომსახურებისათვის არსებობს. ხშირად პარლამენტარების აქტივობა კულისებში ბევრად აღემატება მათი აქტივობის დონეს ოფიციალური სხდომების დროს.

3. ზოგიერთ ქვეყანაში პარლამენტის დეპუტატი იმავდროულად რომელიმე ქალაქის მუნიციპალიტეტის ან სხვა სახის ადგილობრივი ორგანოს წევრიც არის. მაგალითად, საფრანგეთში ისინი ხშირად დეპარტამენტების გენერალური საბჭოების თავჯდომარეების ან კომუნის მერის თანამდებობას უთავსებენ პარლამენტის წევრობას. ყველა შემთხვევაში უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოს - პარლამენტის წევრობა პოლიტიკური კარიერის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც გზას უხსნის პოლიტიკოსს ხელისუფლების უმაძღლესი ეშელონებისაკენ. პირველ რიგში, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ურთიერთდაუნდობელი ბრძოლა, რომელიც თან ახლავს ხოლმე საპარლამენტო არჩევნებს, ამისათვის იხარჯება უზარმაზარი ფინანსური და ორგანიზაციული სახსრები, რომლებსაც ხშირად ვერ მოაქვს წარმატება.

4. პარლამენტის მუშაობის განაწესი განისაზღვრება პალატების მიერ შემუშავებული შინაგანი რეგლამენტით, ზოგიერთ ქვეყანაში შეიმჩნევა აღმასრულებელი ხელისუფლების აქტიური ჩარევა წარმომადგენლობით ორგანოს ტრადიციულ პრეროგატივაში. ამ აზრის თვალსაჩინო დადასტურებაა საფრანგეთის პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციური საბჭოს გამოყენება ეროვნული კრების მიერ დადგენილი რეგლამენტის ზოგიერთი მუხლის შეცვლის მიზნით.“

5. პალატების პრაქტიკულ მოღვაწეობაში დიდ როლს თამაშობს ამ პალატებში შექმნილ და მართული დამხმარე ორგანოები. მაგალითად, აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში, ქვედა პალატების მუშაობას ხელმძღვანელობს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით აღჭურვილი სპიკერი. საფრანგეთსა და რიგ სხვა ქვეყნებში ასეთი ორგანოს როლს ასრულებს ბიურო, რომლის შემადგენლობაშია თავჯდომარე, მისი მოადგილეები, მდივნები და კვესტორები. ეს ბიურო კომლექტდება პარტიული ჯგუფების, (ფრაქციების) პროპორციონალური წარმომადგენლობის საფუძველზე. საწინააღმდეგო შემთხვევაა ამერიკის შეერთებული შტატების სენატის თავჯდომარის მაგალითი-მისი უფლებები საკმაოდ შეზღუდულია, მას არა აქვს უფლება ჩაერიოს დებატების მსვლელობაში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამომსვლელი განსახილველი საკითხის მაგიერ სულ სხვა საკითხზე საუბრობს. სწორედ ამით აიხსნება ე.წ. „ფლიბუსტერობის“ პრაქტიკა, როდესაც გამომსვლელი არ თმობს მიკროფონს და უაზრო ლაპარაკით პალატის მუშაობას და მისთვის არასასურველი საკითხის განხილვას ხელს უშლის (ამერიკის სენატის ისტორიაში ყოფილა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მთელი რამდენიმე საათი გამომსვლელი ბიბლიის ტექსტს კითხულობდა ხმამაღლა, ოღონდ კი არ მიეცა მოწინააღმდეგე მხრისთვის აზრის გამოთმის საშუალება).

6. დამხმარე ორგანოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პალატების შექმნილი კომისიები (კომიტეტები), ზოგიერთ ქვეყანაში კანონი მკაცრად განსაზღვრავს მუდმივი კომისიების რაოდენობას (საფრანგეთი), ზოგან კი განუსაზღვრელია (აშშ-ში). იტალიაში კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტი პირდაპირ პრეზიდენტს გადაეცემა პალატის გვერდის ავლით, რაც კომისიის ფართო უფლებამოსილების მანიშნებელია.

7. რაც არ უნდა მოწესრიგდეს პარლამენტის მუშაობის ზემოთხსენებული სტრუქტურული და პროფესიონალური ასპექტები, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც იმას ექნება, თუ რომელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ძალები სჭარბობენ საკანონმდებლო ორგანოში და ვისი ინტერესების გამომხატველნი არიან ისინი სინამდვილეში.

ბესიკ გიგოლაშვილი,
ფსიქოლოგი

უკვდავების თანაზიარი

12 სექტემბერი უმახვილესი თვალის მქონე ფოტოხელოვანის, მოგზაურისა და მთამსვლელის, მოთხილამურისა და მოკრივის, ერთგული მეგობრისა და თავის მიწა-წყალზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი რაინდის - გურამ თიკანაძის დაბადების დღეა.

გურამს, ათწლეულების წინათ, „სიკეთის მთესველი მზეჭაბუკი“ ვუწოდე და მიხარია, რომ ხშირად ასე მოიხსენიებს მას ახალი თაობა.

ყოველი ეპოქის ახალგაზრდობას თავისი კერპი ჰყავს, ცხოვრების წესის ერთგვარი კანონმდებელი, რომლის ქმედება მისაბაძი და სამაგალითოა. 50-60-იანი წლების ქართველ ახალგაზრდებს ამგვარ იდეალად მზეჭაბუკისდარი გურამ თიკანაძე ესახებოდათ.

საქართველოს რომელ კუთხეში არ შეხვდებოდით მას განუყრელი ფოტოაპარატით თუ წერაყინით ხელში. სად არ სწვდებოდა მისი თვალი და გონება, ვისთან არ მეგობრობდა - საუკუნეს მიტანებულ მოხუცებთან თუ სრულიად პატარა ბავშვებთან. დღემდე ხშირად იხსენებენ: ზემო სვანეთში, როგორც კი გურამი გამოჩნდებოდა, ბავშვები გუნდ-გუნდად გარს შემოეხვეოდნენ და ისიც, თითქმის მთელ დღეს მათთან ერთად ატარებდა. ასე უნაწილებდა სვანეთის ახალგაზრდობას თავის სიყვარულს და უკვე ასაკში შესული მაშინდელი ბავშვები, დღემდე ამ სიყვარულით იგონებენ სიკეთით სავსე ჭეშმარიტ რაინდს.

გურამის თავისუფალი, პოეტური ბუნება ვერ ეტეოდა სპეციალობით შემოზღუდულ ჩარჩოებში და შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში, მას უცნაური ფიქრები არ ასვენებდნენ. მრავალი კითხვა დაუსვამს საკუთარი თავისთვის, უბის წიგნაკში კი ჩაუწერია: „გეოლოგიაში დავრჩე, ფოტორეპორტიორობას მოვკიდო ხელი თუ ოპერატორობას. ჯერხნობით ყველაფერს დინებას ვაძლევ. მე მგონი, დინება ფოტორეპორტაჟთან მიმიყვანს“.

ახდა გურამ თიკანაძის წინასწარმეტყველება. მისმა სახელოვანმა გზამ, რომელმაც კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზეც გადაიარა, საბოლოოდ იგი ფოტოხელოვნებასთან მიიყვანა. მთამ მისცა მას მზერის მასშტაბი და ჭვრეტის განსხვავებული კუთხე. ამის დასტურია მისი ფანტასტიკური ფოტო - „მოწყვეტა აილამას ქედიდან“, რომელმაც მსოფლიოს მრავალი საგამოფენო დარბაზი მოიარა.

გურამის ხანმოკლე სიცოცხლე, ახალგაზრდა კაცის შეგნებული მოღვაწეობის ამსახველი მართლაც მხატვრული რეპორტაჟია. მისი ცხოვრება კი მხოლოდ ორ თარიღში თავსდება - დაიბადა 1932 წლის 12 სექტემბერს, გარდაიცვალა 1963 წლის 27 აგვისტოს. დაიღუპა მწვერვალ შხარიდან დაშვების დროს. შხარა მისი უკანასკნელი მწვერვალი აღმოჩნდა...

ეს ტრაგიკული ამბავი, ჩემს მეხსიერებასაც სამუდამოდ შემორჩა...

1963 წლის ივლის-აგვისტოში, თითქმის, ყველა ქართველი მთამსვლელი ზემო სვანეთში იმყოფებოდა. ჩვენი 25-კაციანი ექსპედიცია სოფელ უშხვანარში, „უშბის დიასახლისად“ სახელდებულ მაკრინე ქურდიანის ოჯახში ბინადრობდა, მეორე ჯგუფი კი, რომელშიც გურამი შედიოდა, სოფელ უშგულში იყო დაბანაკებული.

გახშირებული მარცხის გამო იმ წელს საკავშირო ფედერაციამ საკვალიფიკაციო ასვლები აკრძალა, მაგრამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და მთამსვლელებს ასვლების ნებართვას დაჰპირდა. ივლისის დასაწყისში სწორედ ამ იმედით მოიყარეს თავი ქართველმა მთამსვლელებმა ზემო სვანეთში. თვეზე მეტი, ლოდინსა და სავარჯიშო ასვლებში გაილია.

10 აგვისტოს, ჩრდილო კავკასიის ალპინისტური ბანაკებიდან უშგულში დაბრუნებულმა გურამ თიკანაძემ ამბავი ჩამოიტანა, რომ საკავშირო ფედერაცია, ცოტა ხანში, საკვალიფიკაციო ასვლების ნებართვას გასცემდა. ნებართვის მიღების მოლოდინში, გურამის წინადადებით, უშგულის ჯგუფმა „სვანეთის დედოფალი“ - თეთნულდი დალაშქრა.

აგვისტოს თვის ნახევარზე მეტი გასული იყო და მთამსვლელები სეზონს უკვე დამთავრებულად მიიჩნევდნენ, რომ მესტიაში შხარაზე ასვლის ნებართვა მოვიდა.

22 აგვისტოს, ჯგუფი გურამ თიკანაძის ხელმძღვანელობით (ივანე ნიკლაური, თამაზ ბაქანიძე, ვალიკო ფოფხაძე, გიორგი კობიძე) შხარის დასავლეთ კედლისაკენ დაიძრა და 26 აგვისტოს შხარის ქედზე ავიდნენ, მაგრამ გაავდრდა და უკან გამობრუნებულებს გზაში დააღამდათ. კლდის ძირში გაათიეს.

27 აგვისტო მზიანი გათენდა, მაგრამ კედელზე დაშვებისას ქარი ამოვარდა და თოვა დაიწყო. გურამი კლდეში პალოს დასარჭობ ბზარს ეძებდა. ბოლოს მონახა, ჩააჭედა კიდეც, მას კარაბინი გამოსდო, თოკი გაუყარა და დაშვება დაიწყეს. ყველა დაუშვა, ბოლოს თვითონ წამოვიდა...

უეცრად, კლდის ბზარიდან პალო ამოვარდა და გურამი თოკთან ერთად უფსკრულისაკენ გადაეშვა...

ის დღე შავად დაღამდა შხარის თეთრ სამყაროში...

ნაშუადღევს, უშხვანარშიც ამოაღწია ამ თავზარდამცემმა ამბავმა. ჩვენი ექსპედიციის წევრებმა ხანმოკლე საგანგებო თათბირი გამართეს და ალექსანდრა ჯაფარიძეს სთხოვეს, თბილისში ეს ტრაგიკული ამბავი მას ჩაეტანა, თავად კი, გურამის ჯგუფის დასახმარებლად, შხარისკენ გაემართნენ...

განსაკუთრებული მისიით აღჭურვილ ალექსანდრა ჯაფარიძესთან ერთად, მესტიიდან სატვირთო თვითმფრინავით გამოვფრინდით (ტრანსპორტის სხვა საშუალება არ იყო) თბილისისაკენ, რათა მთელი საქართველოსთვის გვეუწყებინა გურამ თიკანაძის უკვდავებაში გადასახლება...

ერთი წლის შემდეგ მურმან ლებანიძემ შხარაზე დაღუპულ უმცროს მეგობარს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა, რომელიც გამოქვეყნებისთანავე უსწრაფესად აიტაცა ხალხმა და მთელმა საქართველომ ზეპირად იცოდა.

ასევე სამაგალითო იყო დიდებული ქართველი მწერლის ლევან გოთუასა და გურამის მეგობრობა. უფროს-უმცროსობის მიუხედავად, ლევან გოთუა, მის უმთავრეს ღირსებად მეგობრობის ნიჭს თვლიდა. აკი წერდა კიდეც გურამისადმი მიძღვნილ წიგნში „ირმის კვალი“: „შენ სამეგობროდ იყავ გაჩენილი. იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ასეთი სამოყვასო მომხიბლაობა!“ – არადა, მრავალჭირგამოვლილმა ბრძენკაცმა კარგად უწყოდა უღალატო მეგობრობის ფასი. მათ სხვადასხვა დროს, სხვებთან ერთად, შემოვლილი ჰქონდათ ქობთავისა და თრეხვის, ქციის, გომარეთისა და რკონის ქვაბსახიზრები. გურამმა, ამ მოგზურობების დროს გადაღებული ლევან გოთუას განუმეორებელი პორტრეტები შემოგვინახა, რომლებიც, საბედნიერდ, ხშირად ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებსა თუ ელექტრომედიაში.

გურამ თიკანაძის ტრაგიკული გარდაცვალებიდან 61 წელი გავიდა, მაგრამ, ქართველი ხალხის ხსოვნაში, იგი, დარჩა ზნეობით შემკულ პიროვნებად. მას არ ივიწყებს საქართველო, რადგან რაინდული სული არასოდეს კვდება.

გურამ თიკანაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მისი სახელი ეწოდა ერთ-ერთ ლამაზ მწვერვალს კავკასიონზე, ჭაუხების მასივში, მისი სახელობისაა ახალგაზრდული კლუბი მესტიის რაიონის სოფელ ლატალში, სვანეთში დაწესებულია სახალხო დღესასწაული „გურამობა“, რომელიც ადრე ყოველწლიურად იმართებოდა...

ივანე ჯაფარიძე

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მერიის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, მშობლიურ სკოლას და მთელ დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლის

მარიამ ბენაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

მონატრება

გელა (ლოლიჩი) ლაპიაშვილი

გელა ჩემო დიდო ტკივილო, დიდო მონატრებავ, მინდა მოგეფერო, მაგრამ შორსა ხარ. წამიყვანე ნუთუ აღარა გჭირდება მოვლა. შენ ხომ ინსულტმა გიმსხვერტლა. დაბადების დღეს გილოცავ შვილო 66 წლის გახდი. მოვალთ შენს საფლავთან, მოგეფერებით გაყინულ ქცაზე დახატულ სურათს, აგინთებთ სანთლებს, რომ გაგინათოს მარადიული სამყოფელი. იძინე მშვიდად ჩვენო უწყინარო გელა.

შენი ოჯახი: დედა, ძმა და ძმისშვილები

უბედური შემთხვევა ლეტალურად დასრულდა

სოფელ სამრეკლოში მცხოვრები 15 წლის გოგონა, რომელიც დედოფლისწყაროს ცენტრალურ პარკში, ტბაში ბანაობის დროს შეუძლოდ გახდა, 10 სექტემბერს გარდაიცვალა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში გოგონას თბილისში, ინგოროყვას კლინიკაში, რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობდნენ. ამ დროის განმავლობაში მოზარდი მართვით სუნთქვაზე იმყოფებოდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შემთხვევა დედოფლისწყაროში 21 აგვისტოს იმ დროს მოხდა, როცა ხელოვნურ ტბაში საბანაოდ მოზარდები შევიდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა წყალში გონება დაკარგა.

გაზეთი „შირაქი“ თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ხანძარი არხილოსკალოს ბენზინგასამართ სადგურთან

ხანძარი გაჩნდა დედოფლისწყაროს სოფელ არხილოსკალოში. როგორც ადგილობრივები გაზეთ „შირაქს“ უყვებიან, უბედური შემთვევის შედეგად რთველში მომუშავე სატვირთო მანქანა აალდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

შემთხვევა 11 სექტემბერს სოფელ არხილოსკალოს ბენზინგასამართ სადგურთან მოხდა. ყურძნით დატვირთულ ზილ-ის მარკის სატვირთო ავტომანქანას ცეცხლი მაშინ გაუჩდა, როცა ის საწვავის მარაგის შევსებას ცდილობდა. სახანძრო ეკიპაჟის მოსვლამდე ცეცხლის ჩაქრობას გარშემომყოფები ცდილობდნენ.

„ღვინის ქარხანაში მიჰქონდა ვენახში მოკრეფილი ყურძენი. როგორც ამბობენ, 20 ლიტრიან ლითონის ბიდონს ბენზინით ავსებდა, ვერ გეტყვით საწვავი ავზშიც ჩაასხა თუ არა. ამ დროს ეს ბიდონი აალდა და შემდეგ აფეთქდა. ცეცხლი მანქანაზეც გავრცელდა. დაიწვა ავტომანქანა და დაზიანდა მასზე დატვირთული ყურძნის მოსავალი. ალალი და ძალიან კეთილი კაცია, წლების მანძილზე თბილისში ცხოვრობდა, ახლა სოფელში დაბრუნდა, უნდა აქ დამკვიდრდეს. დიდხანს არემონტებდა ამ ავტომანქანას, რომ რთველის სეზონზე ემუშავა და სეზონური შემოსავლით ოჯახი ერჩინა. სამწუხაროდ, მისი გეგმები ხანძარმა გაანადგურა, " — ამბობენ სოფელ არხილოსკალოს მაცხოვრებლები.

სოფლის მოსახლეობამ დაზარალებულის დასახმარებლად კამპანია დაიწყო. **შირაქი**

ზურა ბერიკაშვილი გარდაიცვალა

55 წლის ასაკში გარდაიცვალა მსახიობი ზურაბ ბერიკაშვილი. ინფორმაციას მსახიობის ოჯახის ახლობლები ავრცელებენ.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მსახიობი სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებოდა.

ზურაბ ბერიკაშვილი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. თეატრალური სპექტაკლების გარდა, ზურაბ ბერიკაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული კინოფილმებსა და სატელევიზიო სერიალებში.

ცნობისთვის, მიმდინარე წლის იანვარში მსახიობი ზურა ბერიკაშვილი მოულოდნელად ცუდად გახდა. ინფარქტი გადაიტანა და გული საკმაოდ ხანგრძლივი დროით გაჩერდა. მისი მდგომარეობა ამ დრომდე მძიმე იყო. ის გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფებოდა.

„ნეოლაბი“ — გიწვევთ!

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალში შეგიძლიათ გაიაროთ კონსულტაციები თბილისიდან მოწვეულ სპეციალისტებთან.

პედიატრის, კარდიოლოგის, ინფექციონისტის, ექოსკოპისტის, გინეკოლოგის და გასტროენტეროლოგის ვიზიტები კლინიკა „ნეოლაბში“ ყოველთვიურად ხორციელდება.

28 სექტემბერს კონსულტაციებს გამართავს გასტროენტეროლოგი, გინეკოლოგი და ექოსკოპისტი.

კონსულტაცია ფასიანია

ჩაწერისთვის უნდა დაგვიკავშირდეთ კლინიკის ნომერზე:

0 (356) 20 00 85 ან **596 39 20 00.**

კლინიკა „ნეოლაბის“ დედოფლისწყაროს ფილიალი მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ. №57.

NeoLab



ოზაანში სოფლის პროგრამის სამუშაოები სრულდება

სოფელ ოზაანში სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების ერთი ნაწილი დასასრულს მიუახლოვდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ წლის დასაწყისში სოფლის საერთო კრებაზე პრიორიტეტულ საკითხებად სოფლისა და საბავშვო ბაღის ეზოში მდებარე ატრაქციონების რეაბილიტაციის საკითხი დაასახელა. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, სკვერებში კაუჩუკის საფარის მოწყობა უკვე დასრულდა. მიმდინარე წელს სოფლის პროგრამით ოზაანს 20 000 ლარი ერგო, რომელსაც მერიამ კიდევ 10 000 ლარი დაუმატა.

როგორც დედოფლისწყაროს მერის რწმუნებულმა სოფელ ოზაანში **ვანო ბენაშვილმა** „შირაქს“ განუცხადა, სულ მალე დაიწყება კიდევ ერთი პრიორიტეტის, გარე განათების ნათურების ლედ სისტემით ჩანაცვლების სამუშაოები.

„მანამდე ბავშვთა გასართობ ატრაქციონებს ქვიშის საფარი ჰქონდა, ამიტომ, თებერვალში, როცა სოფლის საერთო კრება გაიმართა, მოსახლეობამ ერთ-ერთ საკითხად საბავშვო ბაღის ეზოსა და სოფლის ცენტრში არსებულ ატრაქციონებზე რბილი, კაუჩუკის საფარის მოწყობა დაასახელა. სამუშაოები სულ ახლახან დასრულდა და მივიღეთ უსაფრთხო სივრცე პატარებისთვის. ასევე მომავალ თვეებში დასრულდება გარე განათების ლედ ნათურებით შეცვლის პროცესი, რომლის სამუშაოებსაც კომპანია „ტექნოსერვისი 1“ შეასრულებს. ესეც ადგილობრივების მოთხოვნა იყო, რომ სოფლის პროგრამის თანხა ამ მიმართულებით დახარჯულიყო და ქუჩების განათება გაუმჯობესებულიყო. წელს პირველად მოხდა, როცა წყლის გადასახადი გაუქმდა და ამის გამო მოლოდინი გვქონდა, რომ მოხმარება უპრეხედენტოდ გაიზრდებოდა და შესაძლოა დებეტის პრობლემა შექმნილიყო. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და ამის მიუხედავად წლევანდელ სეზონზე წყლის დეფიციტი არ შეგვქმნია და გრაფიკის დაწესების საჭიროება არ დამდგარა. როგორც ჩანს ზაფხულის ცხელ დღეებში ოზაანში არსებული მარაგი საკმარისი აღმოჩნდა და გადაჭარბებულმა ხარჯვამ დეფიციტი არ გამოიწვია. რამდენიმე უბანი თავწყაროს წყლით მარაგდება, დანარჩენი სოფელი კი ე.წ. „გედიქის წყლით,“ — აღნიშნავს ვანო ბენაშვილი.

მიმდინარე სამუშაოებს აფასებენ ადგილობრივებიც, რომლებიც კმაყოფილებას ღიად გამოხატავენ.

„დიდი მადლობა სოფლის მოსახლეობას, რომ ეს საკითხი დაასახელეს და ასევე მადლობა დედოფლისწყაროს მერიას, რომ რბილი საფარი მოეწყო. ასე ბავშვები აღარც დაისვრებიან და წაქცევის შემთხვევაშიც ასეთი იატაკი ბევრად უსაფრთხოა. წვიმიან ამინდებში შეუძლებელი იყო აქ ბავშვების გამოყვანა. ნალექის შემდეგ კიდევ რამდენიმე დღე უნდოდა, რომ ტერიტორია გამშრალიყო. წაიქცეოდნენ და მუხლები გადატყავებული ჰქონდათ. რა თქმა უნდა ასე ბევრად უკეთესია. სოფლებში ყველა პრობლემა ერთად ვერ მოგვარდება, მაგრამ ვხედავთ, რომ მუშაობენ, ნელ-ნელა საყოფაცხოვრებო პირობები ეტაპობრივად უმჯობესდება. წყალმომარაგებაც ამ ზაფხულს უპრობლემოდ გვქონდა, შეფერხებები არ ყოფილა. ეს იმხელა შეღავათია, ვერ წარმოიდგენთ. ზაფხულში წყლის დებეტის პრობლემა ძალიან გაუსაძლისია. მითუმეტეს, რომ ახალგაზრდები სოფლად ჩამოდიან“— ამბობენ ოზაანელები.

მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილია ოზაანის საბავშვო ბაღის გამგე **ლია სუხიტაშვილი**. თუმცა, ის სოფელში ბავშვების სიმცირეზე აკეთებს აქცენტს. მისი თქმით, ამ სასწავლო წელს ბაღში არცერთი ახალი ბავშვი არ მისულა და გაზაფხულზე მხოლოდ ორ აღსაზრდელს ელოდებიან, სულ კი საბავშვო ბაღი 10 სკოლამდელს ემსახურება. ბავშვების დეფიციტი აქვს ოზაანის საჯარო სკოლასაც, სადაც ყველაზე ცოტა მოსწავლე დარეგისტრირდა და სასკოლო ზარი წელს მხოლოდ 1 პირველკლასელისთვის დაირეკება.

ილია მარტყოფლიშვილი

განათავსეთ გაზეთ „შირაქის“ ფურცლებზე თქვენთვის სასურველი ნებისმიერი განცხადება. მილოცვა, სამძიმარი, გახსენება, ყიდვა-გაყიდვა

მხოლოდ 5 ლარად, სურათით 10 ლარად.

გამოიწერეთ და სახლში მიიღეთ გაზეთი „შირაქი“ წელიწადში მხოლოდ 20 ლარად

იყიდება

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით. ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

იყიდება მიცვალებულებისათვის სასახლეები და სუდარები, ამასთან ერთად ქირავდება მაცივარი.

მისამართი: დედოფლისწყარო, შირაქის ქუჩა (ე.წ. „გრუზნვთის“ ტერიტორიაზე), შალვა (კუკარაჩა) ბურდულის დარბაზში.

ტელ: 591 62 99 92; 551 165 185.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 16.09		სამშაბათი 17.09		ოთხშაბათი 18.09		ხუთშაბათი 19.09		პარასკევი 20.09		შაბათი 21.09		კვირა 22.09	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
24°	12°	24°	12°	23°	13°	23°	13°	23°	13°	24°	13°	23°	13°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი